A21 მეხილეობა

A21.6 ხეხილის მოსავლის აღების ორგანიზება

ხეხილის მოსავლის აღების ორგანიზება

სურ.1 მანდარინის მოსავლის აღება

აღნიშნულ თავში შეისწავლით: მოსავლის აღების წესების დახასიათებას; კრეფისთვის საჭირო ინვენტარის და ტექნიკური საშუალებების შერჩევას და გამოყენებას; სხვადასხვა კულტურის ხილის კრეფას, უსაფრთხოების წესების დაცვით; მოკრეფილი ხილის შესაბამის ტარაში განთავსებას.

შეძენილი ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში შეგიძლიათ, მაგალითად, შემდეგ სიტუაციებში:

სიტუაცია 1 ატმის კრეფის დრო მოვიდა. კრეფის დაწყებისათვის ხელსაყრელი დროის დასადგენად აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ რა დანიშნულებით უნდა გამოიყენოთ აღებული მოსავალი.

სიტუაცია 2 ხეხილის ბაღში მიიღეთ მაღალი და ხარისხიანი მოსავალი. თუ არ გეცოდინებათ მოსავლის ასაღები ინვენტარის და ტექნიკის ორგანიზება, ვერ შეძლებთ მოსავლის უდანაკარგოდ აღებას და ხილის ხარისხის შენარჩუნებას.

სიტუაცია 3 ხილის მოსავლის აღების დროს სწორად შეაჩიეთ ჩასალაგებელი ინვენტარი, მაგრამ ვერ განსაზღვრეთ მათი რაოდენობა, რამაც შეაფერხა კრეფის პროცესი. წინასწარ უნდა გცოდნოდათ საორიენტაციო მოსავალი, ინვენტარის რაოდენობის გარკვევის მიზნით.

6.1 ხილის მოსავლის აღების წესები

ხილის წარმოების ტექნოლოგიური ციკლი მთავრდება კრეფით, ტრანსპორტირებით, სასაქონლო დამუშავებითა და შენახვით. პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხისთვის, დასკვნითი ეტაპის სწორად და დროულად ჩატარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

იმისათვის, რომ უზრუნველყოთ კრეფის სწორი ორგანიზაცია და ტარა-მასალის საჭირო რაოდენობით მომარაგება, აუცილებელიამოსალოდნელი მოსავლის წინასწარი განსაზღვრა.

მოსალოდნელი მოსავლის წინასწარი აღრიცხვა, ჯიშების მიხედვით, ხდება რამდენჯერმე. პირველი აღრიცხვა ტარდება წინა წლის შემოდგომაზე. აღირიცხება თითოეულ ხეზე ჩასახული საყვავილე კვირტების რაოდენეობა. მეორე — გაზაფხულზე, აღირიცხება ყვავილობის ინტენსივობა. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ მაღალი მოსავლის მისაღებად საკმარისია თესლოვან კულტურებში ხეზე დარჩეს ყვავილების 5-10%, კურკოვნებში — 15-25%. მესამე აღრიცხვა ხდება ხილი სკრეფამდე 1-2 თვით ადრე.

თითოეული ხიდან მოსალოდნელი მოსავლის აღრიცხვა, შესაძლებელია მხოლოდ პატარა ბაღში. დიდ სამრეწველო ბაღებში მისაღებია აღრიცხვის წინასწარი შერჩევითი წესის გამოყენება. ამისათვის ბაღში გამოყოფენ ჯიშისთვის ტიპური ხეების დაახლოებით 5%. მათზე ითვლიან ნაყოფების რაოდენობას დაგამოჰყავთ საშუალო მაჩვენებელი ერთი ხისთვის. შემდეგ ხდება გადაანგარიშება ჰექტარზე.

ყურადღება!

დიდ სამრეწველო ბაღებში მისაღებია აღრიცხვის წინასწარი, შერჩევითი წესის გამოყენება. ამისათვის ბაღში გამოყოფენ ჯიშისათვის ტიპური ხეების დაახლოებით 5%.

არჩევენ ხილის საკრეფ, მოხმარებით და ტექნიკურ სიმწიფეს. კრეფის ვადის დასადგენად ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს საკრეფი სიმწიფის პერიოდის სწორად განსაზღვრას.

სიმწიფის ხარისხის დადგენა ხდება სხვადასხვა ნიშან-თვისების ერთობლიობით, როგორიცაა: ნაყოფის ზომა, ძირითადი დამფარავი შეფერვა, რბილობის სიმკვრივე, გემო, ნაყოფის ტოტზე მიმაგრების სიმტკიცე, თესლის შეფერვა და სხვ. სიმწიფის ხარისხი, გარდა გარეგნული ნიშნებისა, დამოკიდებულია ნაყოფის ქიმიურ შემადგენლობაზე.

გაითვალისწინეთ!

ხილის კრეფის ვადის ზუსტად განსაზღვრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ხარისხისა და შენახვის უნარის გაზრდისთვის. ვადაზე ადრე, ან გვიან მოკრეფილი ხილი კარგავს თავის სასაქონლო თვისებებს.

ნაყოფის საკრეფი სიმწიფე დგება მაშინ, როდესაც იგი მიაღწევს ჯიშისთვის დამახასიათებელ ზომას, შეფერვას დაყ უნწი ადვილად სცილდება ნაყოფსაჯდომს, თესლები მიიღებენ დამახასიათებელ ყავისფერ შეფერილობას. ნაყოფში დასრულებულია საკვები ნივთიერებების დაგროვება და სახამებლის ოდენობა აღწევს ნორმას (განისაზღვრება სახამებლის ნიმუშის მეთოდით). ასეთ სტადიაში მოკრეფილ ნაყოფს შეუძლია შენახვის დროს დაასრულოს დამწიფება და მიიღოს ჯიშისთვის დამახასიათებელი გემო, არომატი და კონსისტენცია.

ნაყოფის მოხმარებითი სიმწიფე დგება მაშინ, როდესაც მასში დასრულდება დამწიფების ფიზიოლოგიური პროცესი და ნაყოფი შეიძენს ჯიშისთვის დამახასიათებელ გემურ თვისებებს, შეფერვასა და კონსისტენციას.

ტექნიკური სიმწიფე გულისხმობს, თუ რამდენად ვარგისია ნაყოფი გადამუშავების მიზნით. შესაბამისად ნაყოფის კრეფის ვადაზე მოთხოვნა იცვლება გადამუშავების სახის მიხედვით. იგი შეიძლება წინ უსწრებდეს, ემთხვეოდეს ან პირიქით, ჩამორჩებოდეს ნაყოფის საკრეფ სიმწიფეს.

ვაშლისა და მსხლის საგვიანო სიმწიფის პერიოდის ჯიშების მოკრეფის ვადას ადგენენ კანის შეფერვის, რბილობის სიმკვრივის, ჯანსაღი ნაყოფის ცვენის დაწყების, ნაყოფსაჯდომიდან ნაყოფის თავისუფლად მოცილების უნარის მიხედვით. თუ ვაშლის საზაფხულო სიმწიფის პერიოდის ჯიშების თესლი ნაწილობრივ, ან მთლიანად შეუფერავი რჩება, სიმწიფის საგვიანო პერიოდის ჯიშებში იგი საკრეფი სიმწიფის მიღწევამდე ყავისფერდება. ვაშლის სხვადასხვა პერიოდის სიმწიფის ჯიშების მიხედვით იკრიფება ივლისიდან ნოემბრის ბოლომდე. მსხლის კრეფა გრძელდება ივლისიდან სექტემბრის ბოლომდე.

ქლიავის ნაყოფის კრეფის ვადა დამოკიდებულია მოსავლის დანიშნულებაზე. ნაყოფი იკრიფება მაშინ როდესაც იგი აღწევს დამახასიათებელ სიდიდეს და შეფერვას, თუ ნაყოფი ნედლად მოიხმარება და გათვალისწინებულია დიდ მანძილზე ტრანსპორტირებისთვის, კრეფენ მოხმარებით სიმწიფის დადგომამდე 3-6 დღით ადრე. ადგილზე ნედლად მოსახმარად, ჩირის, ჯემის, ხილფაფის დასამზადებლად კრეფენ მწიფე ნაყოფს. ქლიავი იკიფება ივლისიდან სექტემბრამდე პერიოდში

ბლისა და ალუბლის კრეფის ვადის დასადგენად ყურადღებას აქცევენ ნაყოფის შეფერვას და გემოს.ნაყოფი იკრიფება მაშინ როდესაც იგი აღწევს დამახასიათებელ სიდიდეს და შეფერვას, რბილობი არ უნდა იყოს ძალიან რბილი. მოკრეფის შემდეგ ბალი და ალუბალი აღარ მწიფდება. ვარჯის ყველა ნაწილში ისინი მწიფდებიან ერთდროულად და გრძელდება ერთ კვირამდე. ბალი და ალუბალი საადრეო ხილია და იკრიფება მაისი,ივნისსა და ივლისში.

გარგარის კრეფის ვადის დადგენა საკმაოდ რთულია. კრეფის შემდეგ სრული დამწიფებისთვის გარგარს ესაჭიროება 2-4 დღე, თუმცა, ამ დროს ჯიშისთვის დამახასიათებელ გემოს ვერ აღწევს. ნაყოფი იკრიფება მაშინ, როცა აღწევს მაქსიმალურ სიდიდეს, ძირითადი შეფერვა ნელ-ნელა გადადის მოყვითალოში, რბილობი იწყებს დარბილებას. გარგარის ნაყოფს ადგილობრივი მოხმარების და ჩირის დამზადების მიზნით კრეფენ ჯიშისთვის დამახასიათებელი გარეგნული შეხედულების, გემოს და არომატის მიღების შემდეგ. გარგარის ჯიშები იკრიფება ივნის-ივლისში.

ატმის კრეფის ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია ტრანსპორტირების პირობებსა დაჯიშურ თავისებურებებზე. ნაყოფი იკრიფება მაშინ, როცა აღწევს დამახასიათებელ სიდიდეს, ძირითადი მწვანე შეფერვა ნელ-ნელა გადადის მოყვითალოში და რბილობი იწყებს დარბილებას. შორ მანძილზე გადასაზიდად ატამს კრეფენ მოხმარებითი სიმწიფის დადგომამდე 4-5 დღით ადრე. ამ პერიოდისთვის ნაყოფი კიდევ ინარჩუნებს რბილობის სიმკვრივეს, იძენს ჯიშისთვის დამახასიათებელ შეფერილობას. ატმის ჯიშების კრეფა იწყება ივნისის ბოლოს და გრძელდება სექტემბრის ბოლომდე.

მარწყვის ნაყოფი მწიფდება არათანაბრად, ამიტომ მისი კრეფა ხდება ყოველ მეორე, მესამე დრეს. ნაყოფი სიმწიფეში შედის ყვავილობის დასრულებიდან 25-35 დღის შემდეგ: იკრიფება, როცა ნაყოფი მიიღებს დამახასიათებელ ალისფერ შეფერილობას. მარწყვი, პირველი ხილია რომელიც იწყებს სიმწიფეს მაისში. ჯიშების მიხედვით ღია გრინტში სიმწიფე გრძელდება ივნისის ბოლომდე.

ჟოლო და მაყვალის ნაყოფები არათანაბრად მწიფდება, ამიტომ მათი კრეფა უნდა განმეორდეს ყოველ მეორე — მესამე დღეს, სიმწიფის პერიოდი განსხვავდება ჯიშების მიხედვით და გრძელდება ორი-სამი კვირა. ჟოლო იკრიფება, როდესაც იგი მიიღებს დამახასიათებელ ღია ალისფერ შეფერილობას და ადვილად სცილდება მცენარეს. ნაყოფის სიმწიფის ძირითადი მახასიათებელია მისი შეფერვა. მაყვალი უნდა დაიკრიფოს, როდესაც ნაყოფი მთლიანად შავად არის შეფერილი.

გახსოვდეთ!

მოსავლის აღების ორგანიზებაში შედის:

1. *მოსავლის აღების ვადის განსაზღვრა*
2. *მოსავლის აღებისთვის ოპტიმალურ პირობების შერჩევა.*
3. *შესაბამისი ტარა.*
4. *ადამიანური რესურსების მობილიზება.*
5. *ტრანსპორტირება.*

ყურადღება!

კურკოვანი და თესლოვანი კულტურების საადრეო სიმწიფის პერიოდის ჯიშების საკრეფი და მოხმარებითი სიმწიფე ერთდროულად დგება. თესლოვანი კულტურების საგვიანო სიმწიფის პერიოდის ჯიშების, მოხმარებითი სიმწიფე დგება მოკრეფიდან 2-3 თვის შემდეგ. კენკროვან კულტურებში საკრეფი და მოხმარებითი სიმწიფე ერთდროულად დგება.

ბროწეული ნაყოფი მწიფდება სექტემბის ბოლოს ოქტომბერში. ნაყოფის კრეფა წარმოებს თანათან სიმწიფეში შესვლის მიხედვით, რაც უფრო დიდხანს რჩება ნაყოფი ხეზე მით უფრო ემატება სიტკბო და არომატი. კრეფის შემდეგ ნაყოფები უნდა დახარისხდეს სიდიდის და დაზიანების ხარისხის მიხედვით.

ლეღვის ნაყოფების არაერთდროული სიმწიფის გამო (ერთი და იგივე ხის ნაყოფებიც კი არ მწიფდება თანაბრად და ერთდროულად), კრეფა ყოველ მეორე-მესამე დღეს წარმოებს. ლეღვი უნდა მოიკრიფოს სრული სიმწიფის ფაზაში. მწიფე ნაყოფი რბილია, ხელის ოდნავ შეხებითაც იგრძნობა. კრეფის პერიოდი იწყება აგვისტოდან სექტემბრის ბოლომდე.

კაკლის და ნუშის კრეფას იწყებენ მაშინ, როდესაც მათ ადვილად სცილდებათ მწვანე ლენჯო და იწყება ნაყოფების ცვენა. კაკლის მოუმწიფებელი ნაყოფის გემო მკვეთრად უარესდება, ამიტომ ნაადრევი კრეფა არასასურველია.

თხილის სიმწიფე ემთხვევა ნაჭუჭის ღია ყავისფერ და ჩენჩოს ღია წაბლისფერ შეფერვას. ერთი ბუჩქის ფარგლებში ნაყოფის არათანაბარი მომწიფების გამო მოსავლის აღება ხდება რამდენჯერმე. თხილის დაგვიანებით კრეფა მოსავლის დანაკარგის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია.

ხურმის ნაყოფის კრეფის დრო დამოკიდებულია როგორც ჯიშზე, ისე მათი გამოყენების პირობებზე, მაგალითად: ჰაჩია იკრიფება მაშინ, როდესაც ნაყოფის ზედაპირის ორიმესამედი შეწითლდება. ხიაკუმეს ნაყოფის კრეფა დასაშვებია მათი სრული გაყვითლების შემდეგ. ფუიუს ნაყოფები იკრიფება უფრო ადრე, სრულ სიმწიფეში შესვლამდე. ხურმა იკრიფება ოქტომბერ — ნოემბერში.

აქტინიდიას კრეფის ვადების განსაზღვრა ვიზუალურად ძნელია, რადგან ნაყოფის ფერი არ იცვლება ისე, როგორც ეს ხდება სხვა ხეხილოვნების შემთხვევაში. საქართველოს თბილ რეგიონებში (აჭარა, გურია, სამეგრელო) ნაყოფი იკრიფება ნოემბრში ყინვების დაწყებამდე და გრძელდება დეკემბრის მეორე დეკადამდე. შედარებით ადრე სიმწიფის პერიოდის ჯიშები იკრიფება 15-20 ნოემბრამდე. აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთის რეგიონი, თბილისის გარეუბნები) ნაყოფი იკრიფება 20 ნოემბრამდე.

ზეთის ხილის ნაყოფის კრეფას დამოკიდებულია იმაზე თუ რა მიზნით არის გათვალისწინებული მისი გამოყენება. ზეთის მისაღებად გათვალისწინებული ნაყოფი უნდა მოიკრიფოს სრულ სიმწიფეში ნოემბერ-დეკემბერში. მწვანედ დასამწნილებლად კი დამწიფებამდე აგვისტო-სექტემბერში.

მანდარინი უნდა მოიკრიფოს მაშინ, როდესაც კანის 2/3 დამახასიათებელ ყვითელ ფერს მიიღებს. კრეფის ვადები ჯიშებისა და რეგიონების მიხედვით ცვალებადია. საადრეო ჯიშები იკრიფება ოქტომბრის მეორე ნახევრიდან, საგვიანო ჯიშები — ნოემბრის თვეში. რეგიონების მიხედვით აფხაზეთსა და სამეგრელოში მანდარინი 10-15 დღით ადრე მწიფდება, ვიდრე აჭარა — გურიაში.

ფორთოხალი იკრიფება ნოემბრის ბოლოს და დეკემბრის თვეში. ნაყოფი იკრიფება კანის გაყვითლებისას, მანამდე კი რჩება ხეზე, რაც შეიძლება დიდხანს.

ლიმონის ნაყოფი იკრიფება მაშინ, როდესაც ის მიაღწევს სტანდარტულ სიმსხოს (50მმ) და წვნიანი გახდება. კრეფა იწყება ოქტომბრის მეორე ნახევრიდან და გრძელდება ნოემბრის ბოლომდე.

6.2. ხილის კრეფა

ხილის კრეფის დაწყებამდე საჭირო რაოდენობით უნდა იქნეს მომარაგებული სხვა და სხვა ტიპის კიბეები, ხილის საკრეფი ტარა, სხვადასხვა ზომის ყუთები, კონტეინერები და სხვ.

ამჟამად ხილის ბაღებში იყენებენ კრეფის ორ წესს, ხელით და მექანიზებულ რეფას. ხელით კრეფა ტარდება მარტივი საშუალებებით, საკრეფი მაგიდების, კიბეების, სხვადსხვა კონსტრუქციის თვითმავალი ან მისაბმელი ბაქნების გამოყენებით. მექანიზებული კრეფა სპეციალური საკრეფი მანქანების გამოყენებით.

სურ.2 ვაშლის კრეფა

სურ.3 ვაშლის მოსავლის ყუთებში ჩალაგება

შესანახად გათვალისწინებული თესლოვანი კულტურების კრეფა წარმოებს მხოლოდ ხელით. სხვადასხვა კულტურისთვის არსებობს ხელით კრეფის განსაზღვრული წესები. მაგალითად, **ვაშლი და მსხალი** უნდა მოიკრიფოს ყუნწით. სასურველი არ არის ყუნწის გადატეხა. თესლოვანთა ნაყოფის სასაქონლო სახის შესანარჩუნებლად აკრძალულია ხის დარხევა, ნაყოფის მოგლეჯა და ყუთში ჩაგდება.

სურ.4 ბლის კრეფა

სურ.5 ბალი ვედროებში

ქლიავს ნედლად მოხმარებისთვის კრეფენ ყუნწით, ამასთან, ცდილობენ, რომ შეუნარჩუნონ ცვილისებური ნაფიფქი.

სურ.6 მარწყვის კრეფა

სურ.7 მარწყვი კალათებში

ბალსა და ალუბალს, რომლებიც გათვალისწინებულია ნედლად მოხმარებისთვის, კრეფენ ყუნწით, გადასამუშავებლად კი უყუნწოდ.

სურ.8 ჟოლოს კრეფა

სურ.9 ჟოლოს კონტეინერებში ჩალაგება

მარწყვი იკრიფება ფრთხილად და ფაქიზად მაკრატლით ყუნწის საფარის ფოთლებთან ერთად სპეციალურ ხის კალათებში. სიმწიფის პერიოდი ჯიშების მიხედვით განსხვავებულია და როგორც წესი სამი-ოთხი კვირის განმავლობაში გრძელდება. მოკრეფილი ნაყოფი ინახება სპეციალურ ტარაში 3-5°C პირობებში და სამი-ოთხი დღის განმავლობაში ხდება მისი რეალიზება.

ჟოლო და მაყვალი უნდა მოიკრიფოს ფაქიზად და ფრთხილად. მოსავალი კრეფის დროს უნდა მოთავსდეს იმ ტარაში, რომლითაც მისი გადაგზავნა ხდება. რეკომენდებულია ნაყოფი, სიდიდის მიხედვით, კრეფის დროს გადანაწილდეს სხვადასხვა კონტეინერში.

სურ.10 ლეღვის კრეფა

სურ.11 ლეღვი ყუთებში

ლეღვის ნაყოფის კანი ძალიან ნაზია, ადვილად ზიანდება, ამიტომ უნდა მოიკრიფოს ძალიან ფაქიზად. კრეფა წარმოებს დანით, ან ხელით. მოკრეფილი ხილი ლაგდება კალათებში, ან ყუთებში 2-3 რიგად.



სურ.12 .ბროწეულის კრეფა



სურ.13 ბროწეულის ჩალაგება

სურ.14 ხურმა ყუთებში

სურ.15 ხურმის კრეფა

ბროწეული იკრიფება ხელით ან სეკატორით კრეფის შემდეგ ნაყოფები უნდა დახარისხდეს სიდიდის და დაზიანების ხარისხის მიხედვით.

აქტინიდიას ნაყოფის კრეფენ ხელით, ყუნწი რჩება მცენარეზე. მოკრეფილი ნაყოფი ეწყობა კალათებში ან საგანგებო ყუთებში და გადაიტანება ფარდულებში, სადაც დახარისხდება ზომის მიხედვით და მოთავსდება სამაცივრე კამერებში.

ხურმის ნაყოფს კრეფის დროს ნაყოფებს ყუნწი არ უნდა მოსცილდეს და ნაყოფის კანი არ უნდა დაზიანდეს. სრულ სიმწიფეში ნაყოფი კარგავს მწკლარტე გემოს, ამასთან ერთად, ნაყოფი რბილდება, რაც აძნელებს ტრანსპორტირებას.

სურ.16 ლიმონის კრეფა

სურ.17 მანდარინი ყუთებში

ციტრუსების ნაყოფის კრეფა წარმოებს სპეციალური ნაყოფის საჭრელი მაკრატლებით, ისე რომ მასზე ყუნწი არ დარჩეს. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს, რომ კრეფის დროს მაკრატლით არ დაზიანდეს კანი. მოკრეფილი ნაყოფი ფრთხილად ეწყობა ყუთებში და მიაქვთ პუნქტებში და შემფუთავ ქარხნებში.

ხილის კრეფის დროს გამოიყენება სხვადასხვა სახის ინვენტარი.

კიბეები — პრაქტიკაში მიღებულია გასაშლელი ორმაგი კიბეების გამოყენება სიმაღლით 230-280სმ, ასევე გამოიყენება ცალგვერდა გასაშლელი-კიბე, რომელიც ცალფეხს ეყრდნობა. ინტენსიურ ბაღებში გამოიყენება ე.წ. დაბალი სიმაღლის კიბე-სკამი, რომელზეც მკრეფავი თავისუფლად დგება.

ვედროები (სათლები) — კრეფისას ფართოდ გამოიყენება 8-10კგ-იანი ტევადობის თუნუქის ან პლასტმასის ვედროები, კრეფის წინ ვედროებში აფენენ სუფთა ქაღალდს ან რბილ ნაჭერს ნაყოფის დაბეჟვის თავიდან აცილების მიზნით.

მოსაწევი კავები — ხილის კრეფისას გარეთა ტოტების მოსაწევად იხმარება მაგარი ხის კავი, სიგრძით 1,5 — 2,0მ.

მოსაკრეფი ტარა — მოსავლის შესაგროვებლად და ხილის საცავში გადასატანად გამოიყენება ხის ან პლასტმასის ყუთები ან ხის სპეციალური კონტეინერები. მოსაკრეფად გამოიყენება 60X40X26სმ დიამეტრის ხის ფიცრებისგან დამზადებული ყუთები (ტევადობა 25-28 კგ), 25კგ. ტევადობის სხვადასხვა ზომის პლასტამასის ყუთები. ხის 125კგ., 250კგ. ტევადობის კონტეინერები. ტარას ხილის საცავში, ან ტრანსპორტირებისას ზოგჯერ ათავსებენ ხის პალეტზე ზომით: 800მმ X 1200მმ — ევროპალეტი, 1000მმ X 1200მმ — ჩვეულებრივი.

სურ.18 ხის კიბე

გახსოვდეთ!

კრეფის დროს ხის ვარჯი იარუსებად ნაწილდება. ნაყოფი იკრიფება ჯერ ქვედა იარუსის, შემდეგ ზედა იარუსის ტოტებზე.

სურ.19 ხილის კრეფა

სურ.20 ხის ყუთები

სურ.21 პლასტმასის ყუთები

მოკრეფილი ხილი სწრაფად გადააქვთ ხილსაცავებში, სადაც ხდება მისი სასაქონლო დამუშავება, რაც გულისხმობს ნაყოფის დახარისხებას, დაკალიბრებას ზომა-მასის მიხედვით და შეფუთვას სპეციალურ ტარაში.

სურ.22 მექანიზებული კრეფა

სურ.23 მექანიზებული კრეფა

გახსოვდეთ!

მაღალხარისხოვანი სტანდარტული ნაყოფების მიღება შესაძლებელია მხოლოდ აგროტექნიკური ღონისძიებების სრულყოფილად გატარების შემთხვევაში. რომელიმე ერთი ღონისძიების უგულებელყოფაც კი შესაძლებელია მოსავლის ნაწილობრივი ან მთლიანი განადგურების მიზეზი გახდეს.

საკითხები თვთშეფასებისთვის

კითხვები:

1. რა არის საკრეფი სიმწიფე?
2. რა არის მოხმარებითი სიმწიფე?
3. რა არის ტექნიკური სიმწიფე?
4. დაახასიათეთ საკრეფი ინვენტარი.
5. აღწერეთ როგორ ხდება ხილის კრეფა?
6. როგორ ხდება ხილის საკრეფი ვადის განსაზღვრა?
7. მოსავლის ასაღები ტექნიკა.
8. ხილის ჩალაგების წესები.
9. მოსავლის ასაღები ინვენტარი.
10. ხილის ჩალაგების წესები.

ტესტები:

1. როდის დგება ხილის საკრეფი სიმწიფე

(შემოხაზეთ ერთზე მეტი სწორი პასუხი)

1. ნაყოფი აღწევს ჯიშისათვის დამახასიათებელ ზომას, ფორმას, შეფერვას
2. ნაყოფი აღწევს 5-6 სმ დიამეტრის ზომას და მრგვალ ფორმას
3. ნაყოფი აღწევს ოვალურ ფორმას და მოყვითალო — მოწითალო შეფერილობას
4. ნაყოფი ადვილად სწყდება ყუნწს

2. ხილის კრეფის ვადა დამოკიდებულია:

1. კლიმატზე, მსხმოიარობის ინტენსივობაზე
2. ნიადაგურ პირობებზე,
3. ჯიშზე, საძირეზე, აგროტექნიკაზე

3. სრულ სიმწიფემდე რამდენი დღით ადრე უნდა დაიკრიფოს ბალი და ალუბალი?

(შემოხაზე ერთი სწორი პასუხი)

1. ხუთი დღით ადრე; 2. ორი დღით ადრე; 3. სამი დღით ადრე

4**. როგორია ქლიავის მოკრეფის წესი**

(შემოხაზეთ ერთზე მეტი სწორი პასუხი)

1. იკრიფება საღამოს საათებში
2. კრეფისას ნაყოფს ნაფიფქი უნდა შერჩეს
3. იკრიფება ნაშუადღევს
4. იკრიფება დილის საათებში

5. ხილის კრეფის ოპტიმალური ვადის დადგენის მაჩვენებლებია:

მიუთითეთ სწორი პასუხი *(ა,დ;) (გ,ე,ვ); (ბ;) (ყველა პასუხი სწორია)*

ა) რბილობის და კანის სიმკვრივე

ბ) კანის და თესლის ფერი

გ) მშრალი ნივთიერების, შაქრის და მჟავების შემცველობა

დ) სავეგეტაციო პერიოდში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი

ე) დღეთა რაოდენობა მასიური ყვავილობიდან მოკრეფამდე

პრაქტიკული დავალება:

ხილის კრეფა

სტუდენტებს გევალებათ მოამზადოთ საკრეფი ინვენტარი მოსავლის ჩასალაგებლად. განახორციელოთ შერჩეული კულტურის ხილის კრეფა შესაბამისი წესების დაცვით.